აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ: პაატა ქურდოვანიძეს

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

1. ნინო გვაზავა. 02001011087. აბაშის მუნიციპალიტეტი სოფ. ნორიო. 598915406;
2. იზოლდა გოგელია. 02001011120. აბაშის მუნიციპალიტეტი სოფ. ზანანი. 593419430;

# პ ე ტ ი ც ი ა

## აბაშის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა

გვინდა მოგახსენოთ, რომ აბაშის მუნიციპალიტეტის სამომავლო მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოთი უზრუნველყოფისათვის აუცილებელია არსებობდეს აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების სივრცით-ტერიტორიული მოწყობის მარეგულირებელი შესაბამისი დოკუმენტები და რეგულაციები. აღნიშნული დოკუმენტები/რეგულაციები და შესაბამისად სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა აბაშის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია, რაც უდაოდ არა მარტო აბაშის მუნიციპალიტეტის საერთო მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენს. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის არ არსებობის გამო მოქალაქეების ნაწილს, რომლებსაც სურთ საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთების გაფორმება, ბიზნესის წამოწყება და ა.შ. არ ეძლევათ საშუალება დაიკანონონ მათი კუთვნილი ტერიტორია, რადგან არ არის განსაზღვრული სასოფლო-სამეურნეო, არასასოფლო-სამეურნეო. და რეკრეაციული ზონების საზღვრები.

აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 86-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, ''გ'' ქვეპუნქტის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი და სამოღვაწეო გარემოთი უზრუნველყოფის მიზნით უმოკლეს დროში უზრუნველყოთ აბაშის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების მიღების საკითხის შესწავლა, საკრებულოს სხდომაზე განხილვა და გადაწყვეტა.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭერთა ხელმოწერილი ბლანკები.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ნინო გვაზავა ნ. გვ
2. იზოლდა გოგელია ი. გოგ

პეტიციის წარდგენის თარიღი: 11 სექტემბერი 2017 წელი

შემოსულია № 07/24
ფურცელი 19
"11" 09 2017წ.